



“01” დეკემბერი, 2016წ.
თბილისი

თავმჯდომარე თამარ ზამბახიძე
მოსამართლეები თამარ ალანია
 გოგიტა თოთოსაშვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი საავტომობილო ბოქსის მშენებლობაზე გაწეული ხარჯის სახით 10 000 ლარის დაკისრების ნაწილში, ახალი გადაწყვეტილებით ამ ნაწილში



სარჩელის დაკმაყოფილება (ტ. II, ს. ფ. 12).

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

გ. თ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით: უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მოპასუხე მ. ბ. წარმოადგენს ქ. თბილისში, გ-ს მ.-რ. XXX- ში მდენარე 2268 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, რომელზეც განლაგებულია შენობა- ნაგებობა №1 და №2. (საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად მითითებული უძრავი ნივთის თანამესაკუთრეს წარმოადგენს ასევე თ. ჭ-ც, თუმცა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ორივე მხარემ დაადასტურა, რომ უძრავი ქონების მესაკუთრე ამჟამად მხოლოდ მ. ბ., თუმცა აღნიშნულ ფაქტს არ გააჩნია არსებითი მნიშვნელობა წარმოდგენილ საქმესთან).

2.2. საქმეში წარმოდგენილი თბილისის გლდანის რაიონის 1996 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დგინდება და ეს ფაქტი ასევე სადავო არ არის მხარეებს შორის, რომ მ.ბ-მ 1994 წლის 12 მაისს №XX ავტოსადგომიდან დაკარგა ავტომანქანა გაზ-24, რის გამოც სასამართლომ საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციას დააკისრა ზიანის ანაზღაურება, ხოლო მოპასუხემ აღნიშნული თანხა არ გადაიხადა. მოპასუხე საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციამ 1994 წლის 23 დეკემბერს ჩაატარა ვაჭრობა №XX ავტოსადგომის გაყიდვის მიზნით. აღნიშნულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღო მ. ბ-მ, რომელმაც გაიმარჯვა და სასამართლოში მოითხოვა ვაჭრობის შედეგების დამტკიცება და მესაკუთრედ ცნობა. თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დამტკიცდა ვაჭრობის შედეგი, რომელიც ჩატარდა 1996 წლის 23 დეკემბერს და საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციის ქ. თბილისის სამმართველოს №XX ავტოსადგომი, მდებარე ქ. თბილისში, XXX გ-ს მ.-რ. გამოცხადდა მ. ბ-ს საკუთრებად და ქ. თბილისის ტექ- ინვესტირების ბიუროს დაევალა აღნიშნული სადგომის მ. ბ-ს საკუთრებაში აღრიცხვა.

2.3. 1996 წლის 23 სექტემბერს დაიწერა ხელწერილი, რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ მ. ბ-მ გ. თ-ს და ს. მ-ს გადასცა 5000 ლარი №XX ავტოსადგომის მოწყობაზე გაწეული ხარჯის ასანაზღაურებლად. ხელწერილში ასევე აღინიშნა, რომ მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ გარდა ერთი ბოქსისა, რომელიც



წარმოადგენს გ. თ-ს პირად ქონებას.

ხელწერილი ხელმოწერილია გ. თ-ს, ს. მ-ს და მ. ბ-ს მიერ, ასევე თანხის გადაცემა დადასტურებული იქნა მოწმეების მხრიდან.

2.4. გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაფუძნდა კოოპერატივი „პ.“ სამი კაცის შემადგენლობით - მათ შორის კოოპერატივის დამფუძნებელ წევრს წარმოადგენდა მოსარჩელის მამა გ.თ..

მტკიცებულება: გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება -ს.ფ. 25.

2.5. გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულებით დაკმაყოფილდა კოოპერატივი „ს-ს“ მოთხოვნა და ნება დაერთო განეთავსებინა დროებითი ასაწყობი 60 კვ.მ. ფართის მქონე სათავსო №XX სადღელამისო ავტოსადგომის ტერიტორიაზე.

მტკიცებულება: გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულება -ს.ფ. 26.

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.6. საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ სადავო უძრავ ქონებაზე მ.ბ-ს საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 29 დეკემბრის ზემოთ მოხსენიებული განჩინება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი, რომლის შესაბამისად ფიზიკურ პირთა კანონიერ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც ინდივიდუალური სახლებია განლაგებული, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ამ პირთა საკუთრებად და მათზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

მ.ბ-მ უძრავი ქონება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა 2006 წლის 04 მაისს.

2.7. სარჩელში მითითებული სხვა ფაქტობრივი გარემოებები ვერ იქნა დადასტურებული მოსარჩელის მიერ (იხ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი).

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2.8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.



მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს მ. ბ-ს და გ. თ-ს შორის შედგენილ ხელწერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ ამ უკანასკნელს პრეტენზია არ გააჩნია მ. ბ-ს მიმართ, გარდა ერთი ბოქსისა, რომელიც წარმოადგენს გ. თ-ს საკუთრებას.

ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა ამ ხელწერილზეა დამყარებული, პირველ რიგში უნდა გაირკვეს ეს დოკუმენტი წარმოშობს თუ არა რაიმე მოთხოვნას, რის გამოც სასამართლო ამ საკითხს ფართოდ განიხილავს დაა ასევე ყურადღებას გაამახვილებს მოსარჩელის მიერ მითითებულ ყველა გარემოებაზე.

მოსარჩელე სარჩელში მიუთითებს, ქ. თბილისში, გ-ს მ.-რ. XXX- ში მდებარე №XX ავტოსადგომი, რომელიც ეკუთვნოდა ავტომოყვარულთა ფედერაციას, ზიანის ანაზღაურების მიზნით გადავიდა მ. ბ-ს საკუთრებაში, მათ შორის მოსარჩელის მამის მიერ აშენებული ბოქსი. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მოსარჩელის განმარტება არასწორია, ვინაიდან მ. ბ-მ აუქციონზე შეიძინა სადავო ქონება, რომელიც ეკუთვნოდა არა გ. თ-ს, არამედ სხვა პირს - ავტომოყვარულთა ფედერაციას და ამასთან ერთად ქონების გადაცემა არ მომხდარა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით. აქვე აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმისა, რომ გ. თ-მ ოდესმე სადავოდ გახადა ფაქტი, რომ გასხვისებული ქონება წარმოადგენდა მის საკუთრებას და მოითხოვა საჯარო ვაჭრობის შედეგების ბათილად ცნობა.

აქვე უნდა გაირკვეს შეიძლება თუ არა სადავო ე.წ. ბოქსი ყოფილიყო მოსარჩელის მამკვიდრებლის საკუთრება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზე, რომ სადავო შენობა აშენებული იქნა იმ პერიოდში, როდესაც სამოქალაქო ურთიერთობების მოწესრიგება ხდებოდა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის შესაბამისად. მითითებული კოდექსის 103-ე მუხლი განსაზღვრავდა, რომ პირად საკუთრებაში შეიძლება იყოს საყოფაცხოვრებო, პირადი მოხმარების, კეთილმოწყობისა და დამხმარე საოჯახო მეურნეობის საგნები, საცხოვრებელი სახლი და შრომითი დანაზოგი. მითითებული ნორმის შესაბამისად, გ. თ. ვერ იქნებოდა სადავო შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, რადგან ამას კანონი კრძალავდა, რაზეც მეტყველებს ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელის მიერ საქმეში არ არის წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ შენობა წარმოადგენდა მოსარჩელის მამკვიდრებლის საკუთრებას.

აღნიშნულის შესაბამისად კი მხარეებს შორის შედგენილი ხელწერილი, რომ რომელიმე ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენდა გ. თ., ვერ გახდება საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველი.

2.9. მოსარჩელე მიუთითებს, რომ მის მიერ სადავოდ გამხდარი - ე.წ. „ბოქსი“ არ წარმოადგენდა შენობა ნაგებობას, რომელიც მყარად არის დაკავშირებული მიწასთან და ამიტომ არ უნდა იქნეს განხილული უძრავ ნივთად. შესაბამისად არ იყო აუცილებელი მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და ის ასევე არ დაფიქსირდა ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროშიც.



სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის შესაბამისად ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. ამავე კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

მოსარჩელის ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო: თავად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ჩატარდა მისივე მოთხოვნით და ექსპერტს დაესვა შეკითხვა, თუ რა დაჯდებოდა სადავო მიწის ნაკვეთზე №3 შენობის აშენება. ექსპერტიზის დასკვნაში კი აღნიშნულია, რომ №3 შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში, შესაბამისად შეუძლებელია მისი აშენების ღირებულების დადგენა, რის გამოც, დადგინდა ახალი იდენტური შენობის ასაშენებლად საჭირო სამუშაოების საორიენტაციო ღირებულება, რამაც შეადგინა 11 303,34 ლარი.

მითითებულ ექსპერტიზის დასკვნაში აღნიშნულია, რომ მოხდა გამოსაკვლევი ობიექტის ადგილზე შესწავლა - შენობას აქვს ბეტონის საძირკვლის ფილა (დამკვეთის მითითებით), კედლები აშენებულია ბლოკით, გადახურულია ბეტონის ასაწყობი ფილებით, შიდა და გარე კედლები გალესილია, სახურავზე მოწყობილია მოჭიმვა და რბილი გადახურვა, კარებები მოწყობილია ხის და ლითონის ელემენტებით. ექსპერტი არსად მოიხსენიებს, რომ მისი გამოსაკვლევი ობიექტი წარმოადგენს ასაწყობ ნაგებობას, არ არის დაკავშირებული მიწასთან და შესაძლებელია მისი გადაადგილება. ამასთან, თავად მოსარჩელის მიერ არის მითითებული, რომ შენობას გააჩნია საძირკველი, რაც სასამართლოს საფუძველს აძლევს დაადგინოს, რომ სადავო ნაგებობა წარმოადგენს ნ. ბ-ს საკუთრებაში არსებული მიწის არსებით შემადგენელ ნაწილს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა-ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიჯნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის შესაბამისად უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრში. გ. თ-ს საკუთრების უფლება სადავო ნაგებობაზე არ გააჩნია, ის არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლზე და მიუთითოს, რომ ვინაიდან სამოქალაქო კოდექსი უძრავ ნივთზე ახალი წესებს ითვალისწინებს, საკუთრების უფლების დასადასტურებლად მხარის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს საჯარო რეესტრის ამონაწერი, ვინაიდან მოქმედი სამოქალაქო კოდექსი უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დადგენას სწორედ ამ დოკუმენტს უკავშირებს. აღნიშნულის შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული ხელწერილი, სადაც აღნიშნულია, რომ ერთი „ბოქსი“ წარმოადგენს გ. თ-ს საკუთრებას, ვერ შეცვლის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს.



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან დგინდება, რომ მ. ბ-ს მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია სადავო შენობა-ნაგებობა საკუთრებაში გააჩნია 2006 წლიდან და ამ დრომდე, მოსარჩელე მხარის მიერ ეს ჩანაწერი სადავოდ არ გამხდარა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება, რომ გ. თ. წარმოადგენდა რაიმე ნაგებობის მესაკუთრეს, რომელიც ახლა მოპასუხის საკუთრებაშია.

2.10. იმისათვის, რომ განხილული იქნეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნის საფუძვლად მითითებული ყველა გარემოება, უნდა დადგინდეს ასევე ფაქტი, სადავო ნაგებობა ააშენა თუ არა გ. თ-მ და ამან გამოიწვია თუ არა მ. ბ-ს ქონებრივი ნამატი (გამდიდრება).

შეჯიბრობითობის პრინციპიდან გამომდინარე მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნაგებობა მისი მამკვიდრებლის მიერაა აშენებული, რაც ასევე ვერ განხორციელდა წარმატებით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტი არ მეტყველებს აღნიშნულზე.

წარმოდგენილია წერილობითი მტკიცებულებები, რომ მამკვიდრებელ გ. თ-ს მიერ დაფუძნებული იქნა კოოპერატივი „პ.“ (იხ. გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება - ს.ფ.25), ხოლო გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულებით კოოპერატივ „ს-ს“ ნება დაერთო №XX სადღეღამისო ავტოსადგომის ტერიტორიაზე განეთავსებინა კოოპერატივის ფუნქციონირებისათვის საჭირო დროებითი სასაწყობი, 60 კვ.მ. ფართობის მქონე სათავსო. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება, რომ კოოპერატივები „პ.“ და „ს.“ ერთი და იგივეა და მით უმეტეს არ დგინდება, რომ ის ნაგებობა, რომელზეც დავობს მოსარჩელე მხარე იგივეა რაც გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულებაში მითითებული დროებითი სასაწყობი სათავსო და მით უმეტეს არ დასტურდება, რომ სადავო ნაგებობა ააშენა სწორედ მამკვიდრებელმა გ. თ-მ საკუთარი სახსრებით. კოოპერატივი „ს.“ და „პ.“, რომ სხვადასხვა პირია და ადგილი არ ჰქონია სახელწოდების ცვლილებას, მეტყველებს ისიც, რომ „პ-ს“ წესდებაში მითითებულია, რომ ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშების დასაბუთებისათვის გამოყენებულია კოოპერატივ „ს-ს“ პირველადი მონაცემები, წესდება დათარიღებულია 1990 წლით, ხოლო 1991 წელს, გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში (11.01.1991) მითითებულია კოოპერატივი „ს.“, რაც გამორიცხავს სახელწოდების ცვლილების ფაქტს.



2.11. მიუხედავად იმისა, რომ მ. ბ-ს და გ. თ-ს შორის არსებული შეთანხმებით არაფერია საუბარი იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხე აპირებდა რაიმე თანხის ანაზღაურებას მამკვიდრებლისათვის, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ კონტექსტშიც განიხილოს მოსარჩელის მოთხოვნა.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ბ-მ 1996 წლის 23 დეკემბრის ხელწერილით დაადასტურა, რომ სადავო ე.წ. „ბოქსი“ წარმოადგენდა გ. თ-ს მიერ აშენებულ ნაგებობას და ფიქრობდა, რომ გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა მისთვის, როგორც ამას მოსარჩელე განმარტავს, მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც ვერ დაკმაყოფილდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

იმ შემთხვევაშიც კი თუ ჩავთვლით, რომ 1996 წლის 23 დეკემბრის ხელწერილით მ. ბ-მ აღიარა რაიმე ვალდებულება გ. თ-ს მიმართ, მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელის მამკვიდრებელს მოთხოვნა მოპასუხის მიმართ წარმოეშვა სწორედ ამ აღიარების მომენტიდან, ანუ 1996 წლის 23 დეკემბრიდან, სარჩელი კი აღიმართა 2014 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მეხუთე ნაწილით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადის -10 წლის გასვლის შემდეგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეორე თავი მოიცავს ხანდაზმულობის ვადების მარეგულირებელ ნორმებს და არცერთი აქ მითითებული მუხლით არ არის განმარტებული, რომ მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის მოგვიანებით მიღება წარმოადგენს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძველს, რის გამოც სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას, რომ მან სამკვიდრო მოწმობა მიიღო 2010 წელს და აქედან უნდა იქნეს ათვლილი ხანდაზმულობის ვადა.

2.12. აქვე სასამართლო მიზანშეწონილად მიაჩნია განმარტოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ დადგინდებოდა გ. თ-ს მიერ რაიმე სახის გაუმჯობესება, რომელიც განიხორციელდა ამჟამად მ. ბ-ს საკუთრებაზე, ეს უკანსკნელი არ იყო ვალდებული, რომ აენაზღაურებინა გაუმჯობესების ხარჯები, ვინაიდან თუ დადსტურდებოდა მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, მან გააუმჯობესა საქართველოს ავტომოყვარულთა ფედერაციის ქონება, რომელიც შემდეგომ შეისყიდა მოპასუხე მხარემ.

2.13. რაც შეეხება საბურავების შესაკეთებელი დაზგის ღირებულების ანაზღაურებას, აღნიშნული მოთხოვნაც არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან პირველ რიგში არ დასტურდება, რომ ის მოსარჩელის მამკვიდრებელის საკუთრება იყო, ამასთან ასევე არ დასტურდება ფაქტი, რომ ის მოპასუხის მფლობელობაში იყო და განადგურდა.

ამდენად, მოსარჩელის აღნიშნული მოთხოვნაც არ უნდა დაკმაყოფილდეს.



2.14. ვინაიდან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლო არსებით ყურადღებას აღარ გაამახვილებს ექსპერტიზის დასკვნაზე, სადაც საუბარია მხოლოდ ახალი ნაგებობის მშენებლობაზე და არ არის გათვალისწინებული მისი ამორტიზაციის ფაქტი, ასევე ის გარემოება, ამ შენობით გაიზარდა თუ არა მერი ბრეგვაძის საკუთრების ღირებულება.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1. გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სწორია, თუმცა სასამართლომ ბევრ მნიშვნელოვან ფაქტზე საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებაზე, რომ მ.ბ-ს ავტომოყვარულთა ფედერაციის მიმართ მოთხოვნის უფლება წარმოეშვა 1996 წლის 29 სექტემბრის განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ და მხარეთა შორის შედგა ხელწერილი იმის შესახებ, რომ ერთი ბოქსი აპელანტის მამის საკუთრებას წარმოადგენდა და მასზე მ. ბ-ს პრეტენზია არ ჰქონდა. ლოგიკურია კითხვა, რა აუცილებლობას წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღნიშნული ხელწერილის შედგენა. სასამართლოს მხრიდან უნდა მომხდარიყო გადაწყვეტილების არსებობის პირობებში ხელწერილის შედგენის აუცილებლობის ფაქტის გამოკვლევა, რაც უნდა ასახულიყო გადაწყვეტილებაში.

3.2. არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ გასულია მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა იწყება მომენტიდან, როდესაც მხარემ შეიტყო ან უნდა შეეტყო დარღვეული უფლების არსებობის შესახებ. აღნიშნული მომენტი აპელანტისთვის დადგა 2010 წელს, როდესაც მოპასუხემ მას შეუზღუდა ქონებით სარგებლობის უფლება. ამასთან, საჯარო რეესტრში მ. ბ-ს სახელზე ქონება აღირიცხა 2006 წელს, ანუ მოთხოვნის ადრესატი მესაკუთრე გახდა ამ დროს. შესაბამისად, 10 წლიანი ვადის ათვლის შემთხვევაში ეს ვადა დასრულდებოდა 2016 წელს.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი



განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ. თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

4.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების გამო ძალადაკარგული ნორმატიული აქტების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება ეს ნორმატიული აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ურთიერთობის მონაწილეებს სურთ ერთმანეთს შორის ურთიერთობა ამ კოდექსით მოაწესრიგონ, ან, თუ სამოქალაქო კოდექსი უძრავი ნივთების შესახებ ახალ წესებს ითვალისწინებს.

როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე სარჩელის და შესაგებლის საფუძველად მიუთითენ დღეს მოქმედ სამოქალაქო კოდექსის ნორმებს (ტ. I, ს. ფ. 1-10; 92-107). ამ ნორმებზე დაყრდნობით იქნა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საწინააღმდეგოზე მითითებას არ შეიცავს სააპელაციო საჩივარი. ამდენად, დავის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს დღეს მოქმედი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები.

4.2. საქმეში წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის თანახმად უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, გ-ს XXX მ/რ-ში (საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.) - 2268 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული შენობა- ნაგებობა №1 და №2 საკუთრების უფლებით ირიცხება მ. ბ-ს და თ. ჭ-ს სახელზე (ტ. I, ს. ფ. 20, 21). გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია და სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს საწინააღმდეგოზე მითითებას, რომ ამჟამად მთელი ქონება მ. ბ-ს საკუთრებაა.

4.3. უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მ. ბ-ს სახელზე საკუთრების უფლებით აღირიცხა 2006 წელს. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველია გლდანის რაიონის 1996 წლის 29 დეკემბრის განჩინება #2/673-96 და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1513-ე მუხლი (ტ. I, ს. ფ. 19, 20, 21).

4.4. თბილისის გლდანის რაიონის 1996 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დგინდება და



მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ მ. ბ-მ 1994 წლის 12 მაისს №XX ავტოსადგომიდან დაკარგა ავტომანქანა გაზ-24, რის გამოც სასამართლომ საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციას დააკისრა ზიანის ანაზღაურება. მოპასუხემ აღნიშნული თანხა არ გადაიხადა. მოპასუხე საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციამ 1996 წლის 23 დეკემბერს ჩაატარა ვაჭრობა №XX ავტოსადგომის გაყიდვის მიზნით (ტ. I, ს. ფ. 37-39).

თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 29 დეკემბრის განჩინებით დამტკიცდა 23.12.1996წ. ვაჭრობის შედეგი და საქართველოს რესპუბლიკის ავტომოყვარულთა ფედერაციის ქ. თბილისის სამმართველოს №XX ავტოსადგომი, მდებარე ქ. თბილისში, გ-ს XXX მ/რ გამოცხადდა მ. ბ-ს საკუთრებად. ქ. თბილისის ტექ. ინვენტარიზაციის ბიუროს დაევალა აღნიშნული სადგომის მ. ბ-ს საკუთრებაში აღრიცხვა (ტ. I, ს. ფ. 37-39, 40, 41).

ამდენად, მ. ბ-მ ავტოსადგომზე შეიძინა დაუტვირთავი საკუთრება სასამართლოს განჩინებით დამტკიცებული ვაჭრობის შედეგების საფუძველზე.

ამასთან, დგინდება, რომ მ. ბ-მ აუქციონზე შეიძინა სადავო ქონება, რომელიც ეკუთვნოდა არა გ. თ-ს, არამედ სხვა პირს - ავტომოყვარულთა ფედერაციას.

პალატა აქვე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საავტომობილო ბოქსზე მ. ბ-ს საკუთრების უფლება მოსარჩელის მიერ წინამდებარე საქმეში სადავოდ არ არის გამხდარი.

4.5. მხარეთა შორის უდავოა და საქმის მასალებითაც დგინდება, რომ გ. თ-მ 11.07.2013წ. მიმართა სასამართლოს თბილისის გლდანის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 29 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით (ტ. I, ს. ფ. 128-134). მხარეთა განმარტებით დგინდება, რომ საბოლოოდ აღნიშნული განცხადება დარჩა განუხილველი (იხ.: მხარეთა განმარტებები 15.11.2016წ. სხდომის ოქმში).

4.6. საქმის მასალებით არ დგინდება სარჩელის საფუძველად მითითებული გარემოება მასზედ, რომ სადავო საავტომობილო ბოქსი აშენდა უშაულოდ მოსარჩელის მამის მიერ.

საქმეში წარმოდგენილია გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც დაფუძნდა კოოპერატივი „პ.“ სამი კაცის შემადგენლობით - მათ შორის კოოპერატივის დამფუძნებელ წევრს წარმოადგენდა მოსარჩელის მამა გ. თ. (ტ. I, ს. ფ. 25). გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულებით დაკმაყოფილდა კოოპერატივი „ს-ს“ მოთხოვნა და ნება დაერთო განეთავსებინა დროებითი ასაწყობი 60 კვ.მ. ფართის მქონე სათავსო №XX



სადღესასწაულო ავტოსადგომის ტერიტორიაზე (ტ. I, ს. ფ. 26).

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც მართებულადაა აღნიშნული, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით არ დგინდება, რომ კოოპერატივები „პ.“ და „ს.“ ერთი და იგივეა და მით უმეტეს არ დგინდება, რომ ის ნაგებობა, რომელზეც დავობს მოსარჩელე მხარე, იგივეა რაც გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 11 იანვრის განკარგულებაში მითითებული დროებითი ასაწყობი სათავსო. არ დგინდება არც მამკვიდრებელ გ. თ-ს მიერ საკუთარი სახსრებით სადავო ნაგებობის აშენების ფაქტი. იმ გარემოებაზე, რომ კოოპერატივი „ს.“ და „პ.“, სხვადასხვა იურიდიული პირია და ადგილი არ ჰქონია სახელწოდების ცვლილებას, მიუთითებს ის ფაქტი, რომ „პ-ს“ ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშების დასაბუთებისას გამოყენებულია კოოპერატივ „ს-ს“ პირველადი მონაცემები (ტ. I, ს. ფ. 69); წესდება დათარიღებულია 1990 წლით (ტ. I, ს. ფ. 27-31), ხოლო 1991 წელს, გლდანის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში მითითებულია კოოპერატივი „ს.“ (ტ. I, ს. ფ. 26), რაც გამორიცხავს სახელწოდების ცვლილების ფაქტს.

ამასთან, ასეც რომ არ იყოს და საკითხი ეხებოდეს ერთი და იგივე სუბიექტს, 11.01.1991წ. განკარგულებით სათავსოს განთავსების ნება დაერთო საწარმოს და არა ფიზიკურ პირ გ. თ-ს და ისიც მხოლოდ რაიადმასკომის არქიტექტურის განყოფილებასთან პროექტის შეთანხმების საფუძველზე.

4.7. 1996 წლის 23 დეკემბრის ხელწერილი არ წარმოადგენს გ. თ-ს მიმართ მ. ბ-ს ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

მოსარჩელე გ. თ. ითხოვს მ. ბ-ს სახელზე საკუთრების უფლების რიცხულ მიწის ნაკვეთზე არსებული საავტომობილო ბოქსის მშენებლობაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებას 10 000 ლარის ოდენობით (ტ. II, ს. ფ. 12).

ხელწერილში აღნიშნულია, რომ მ. ბ-მ გ. თ-ს და ს. მ-ს გადასცა 5000 ლარი № XX ავტოსადგომის მოწყობაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. ხელწერილში ასევე აღინიშნა, რომ ავტოსადგომის მფლობელებს მ. ბ-სთან არ გააჩნიათ პრეტენზია გარდა ერთი ბოქსისა, რომელიც გ. თ-ს პირად ქონებას წარმოადგენს. ხელწერილი ხელმოწერილია გ. თ-ს, ს. მ-ს და მ. ბ-ს მიერ, ასევე თანხის გადაცემა დადასტურებული იქნა მოწმეების მიერ (ტ. I, ს. ფ. 24).

ზემოაღნიშნული ხელწერილი ვერ განიხილება მოპასუხის ვალდებულების დამდგენ დამოუკიდებელ საფუძველად.

სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იმ ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც აღიარებულ იქნა ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა (ვალის არსებობის აღიარება), აუცილებელია წერილობითი აღიარება. თუ სხვა ფორმაა გათვალისწინებული იმ



ვალდებულებითი ურთიერთობის წარმოშობისათვის, რომლის არსებობაც აღიარებულ იქნა, მაშინ აღიარებაც მოითხოვს ამ ფორმას.

აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული ვალის არსებობის აღიარება ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად ქმნის ახალ მოთხოვნას. მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობა შეიძლება სადავოც კი იყოს, ვალის არსებობის აღიარება მაინც წარმოშობს შესრულების ვალდებულებას, ხოლო კრედიტორს ანიჭებს მოთხოვნის უფლებას. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებული ვალის აღიარება იმით განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფორმით გათვალისწინებული მოთხოვნის აღიარებისაგან, რომ იგი ახალი ხელშეკრულებაა და არა სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ნების გამოვლენა. ვალის აღიარება ახალი ხელშეკრულებაა, ამდენად ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილ ყველა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს, პირველ რიგში კი სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მოთხოვნებს, ანუ მხარეები უნდა შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე. ნებისმიერი დოკუმენტი, ან მხარეებს შორის განხორციელებული მიმოწერა, სადაც დავალიანების არსებობაა დაფიქსირებული, ვალის აღიარების ხელშეკრულებად ვერ ჩაითვლება, თუ არ ირკვევა, რომ მხარეები შეთანხმდნენ ყველა არსებით პირობაზე (ვალის დაფარვის წესი, ვადა და ა.შ.) (სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა შესაბამისობაშია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასთან, კერძოდ, იხილეთ: 01.12.2010წ. გადაწყვეტილება საქმეზე Nას-599-562-2010).

ვალის არსებობის აღიარებად ხელშეკრულების შეფასება, თანმდევი სამართლებრივი შედეგებით, ინდივიდუალურია და ერთმნიშვნელოვნად, ხელშეკრულების შინაარსიდან უნდა მომდინარეობდეს, კერძოდ, ვალის არსებობის ხელშეკრულებით პირი უნდა აღიარებდეს გარკვეულ ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის არსებობას და კისრულობდეს მისი შესრულების ვალდებულებას. უნდა არსებობდეს ისეთი წინაპირობები, რომლებიც მიუთითებენ მომავალში კონკრეტულ შემთხვევაში უკვე არსებული სამართალურთიერთობის მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე.

პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ზემოაღნიშნული დოკუმენტი ვერ განიხილება საავტომობილო ბოქსის მშენებლობაზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე მოპასუხის ვალდებულების დამდგენ დამოუკიდებელ საფუძველად. კერძოდ, მითითებული ხელწერილი არ შეიცავს მსჯელობას მ.ბ-ს მიერ რაიმე კონკრეტული ვალდებულების აღიარების თაობაზე. ხელწერილში მოცემულია მხოლოდ ზოგადი შინაარსის ფრაზა იმის თაობაზე, რომ „ავტოსადგომის მფლობელებს მ. ბ-სთან არ გააჩნიათ პრეტენზია გარდა ერთი ბოქსისა, რომელიც გ. თ-ს პირად ქონებას წარმოადგენს“, რაც შეფასებული ვერ იქნება მ. ბ-ს მიერ ვალდებულების აღიარებად და მის მიმართ სამართლებრივ მოთხოვნას ვერ წარმოშობს.

4.8. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ დგინდება სადავო ბოქსის გ. თ-ს მიერ აშენების და ამით მის ხარჯზე მ. ბ-ს გამდიდრების ფაქტი, არ არსებობს მოთხოვნილი თანხის არც კონდიციური ვალდებულების (უსაფუძვლო გამდიდრება) საფუძველზე დაკისრების



წინამძღვრები.

პალატა განმარტავს, რომ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება ხდება მოთხოვნის სხვა საფუძვლებთან სუბსიდიალურად, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ არსებობს სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძველი (მოთხოვნათა კონკურენცია), უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის ნორმების, როგორც მოთხოვნის საფუძვლის გამოყენება ბოლოს უნდა განხორციელდეს, ანუ მას შემდეგ რაც გამოირიცხება მოთხოვნის დაკმაყოფილება სახელშეკრულებო ან სხვა კანონისმიერი საფუძვლებიდან. ამასთან, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის სახეზე უნდა იყოს რამდენიმე პირობა კუმულატიურად, კერძოდ: მოპასუხის გამდიდრება; მოპასუხის გამდიდრების შესატყვისად მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი; მატერიალურ სიკეთეთა ამგვარი გადანაცვლების უსაფუძვლობა.

გათვალისწინებით იმისა, რომ განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დამტკიცებული საჯარო ვაჭრობის შედეგების საფუძველზე მ. ბ-ს საკუთრებაში გადავიდა ავტოსადგომი და მასში არსებული ბოქსი, დგინდება, რომ საავტომობილო ბოქსზე საკუთრება წარმოშობილია შესაბამისი სამართლებრივი საფუძველით, რომელიც დღესაც ძალაშია, არ გაუქმებულა.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი თუ დადგენილად იქნება მიჩნეული გ. თ-ს მიერ უძრავი ქონების რაიმე სახით გაუმჯობესების ფაქტი, მ. ბ. არ წარმოადგენს გაუმჯობესების ხარჯების ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს, ვინაიდან ასეთის არსებობის შემთხვევაში გაუმჯობესდებოდა საქართველოს ავტომოყვარულთა ფედერაციის ქონება, რომელიც შემდეგომ შეისყიდა მოპასუხე მხარემ. ანუ შეიცვალა ქონების მესაკუთრე, ე.წ. გაუმჯობესებული (როგორც მოსარჩელე უთითებს) ქონების სყიდვის ფასი კი მიიღო საქართველოს ავტომოყვარულთა ფედერაციამ.

ამდენად, არ არსებობს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

დამატებით შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ როგორც 30.10.2014წ. ექსპერტის დასკვნაშია აღნიშნული, სადავო შენობა არის ავარიულ მდგომარეობაში და შენობის ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი აშენების ღირებულების დადგენა. წარმოდგენილი დასკვნა შეხება ახალი იდენტური შენობის აშენების ხარჯებს და არა სადავო შენობის აშენებაზე გაწეულ ხარჯებს (ტ. I, ს. ფ. 50, 51).

4.9. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ პალატა იზიარებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემულ მსჯელობას სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების



მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადაში მოიზრება დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლების რელიზაცია ან დაცვა. ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია. ანუ ამ უფლების რეალიზება სრული მოცულობით დამოკიდებულია მოთხოვნის ადრესატის ნება-სურვილზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის შესაბამისად ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშიც მართებულად არის აღნიშნული, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ბ-მ 1996 წლის 23 დეკემბრის ხელწერილით დაადასტურა, რომ სადავო ე.წ. „ბოქსი“ წარმოადგენდა გ. თ-ს მიერ აშენებულ ნაგებობას და ფიქრობდა, რომ გარკვეული თანხა უნდა გადაეხადა მისთვის, მოთხოვნა ამ შემთხვევაშიც ვერ დაკმაყოფილდება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ ასეთ შემთხვევაში მოსარჩელის მამას მოთხოვნა წარმოემოზოდა 1996 წლის 23 დეკემბრიდან, სარჩელი კი აღიძრა მხოლოდ 2014 წელს, საერთო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. რაიმე მტკიცებულება, რაც ვადის სხვაგვარად ათვლას გამოიწვევდა, საქმეში წარმოდგენილი არ არის. გაზიარებულ ვერ იქნება სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება მასზედ, რომ რადგან მ. ბ-მ უძრავი ქონება საჯარო რეესტრში თავის სახელზე დაირეგისტრირა 2006 წელს, მოთხოვნის ადრესატად ითვლება ამ დროიდან.

ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაკავშირებული ვერ იქნება ასევე გ. თ-ს მიერ მამის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის აღების თარიღთან, ვინაიდან როგორც თავად მოსარჩელის წარმომადგენელიც ადასტურებს, გ. თ-მ მამის სამკვიდრო მიიღო ფაქტობრივი ფლობით სამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვეში და ამდენად, მიღებული სამკვიდრო მის საკუთრებად იქცა მემკვიდრეობის გახსნის დღიდან (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1433-ე მუხლი).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად არ დააკმაყოფილა სარჩელი. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების და გასაჩივრებულ გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა



ყოველივე აღნიშნულზე დაყრდნობით სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. იგი ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით დასაბუთებული, კანონიერია და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს.

6. საპროცესო ხარჯები

სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია (ტ. II, ს. ფ. 12, 13).

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ და ა ა დ გ ი ნ ა

1. გ. თ-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. უცვლელი დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 27.04.2015წ. გადაწყვეტილება.
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, განჩინების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით, დასაბუთებული განჩინების ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მეშვეობით.
4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს განჩინების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

თავმჯდომარე:

თამარ ზამზახიძე

მოსამართლეები:

თამარ ალანია



გოგიტა თოთოსაშვილი